კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ნაშთებისგან. კომპანიას არ გააჩნია სალარო და მისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე არ ახორციელებს ისეთ ოპერაციებს რომლებიც საჭიროებს ფულის ქეშად გამოყენებას.

#### სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში გადაფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

#### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღირიცხება მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

#### ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში შემცირებადი ნაშთის მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების ცვეთის ნორმის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა

## შპს “სტატუსი”

### ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების ცვეთის ნორმები შემდეგნაირად ნაწილდება:

|                             | ცვეთის ნორმა % |
|-----------------------------|----------------|
| შენიშნული ნაგებობები        | 5%             |
| კომპიუტერები, ავეჯი და სხვა | 20%            |

### შემოსავლების აღიარება

შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია კომპანიის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

### სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება აღიარდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტმა შეასრულა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და გადაფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

### მოგების გადასახადები.

რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

- ა) განაწილებული მოგება;
  - ბ) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;
  - გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
  - დ) სსკ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.
- მოგების გადასახადის განაკვეთია 15%.

### სასაქონლო-მატერიალური მარაგები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველაზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემენასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

### გადახდილი ავანსები.

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან რომელიც თავად კლასიფიცირებული უნდა იყოს როგორც გრძელვადიანი აქტივი.

ძირითადი საშუალებებისთვის განკუთვნილი წინასწარი გადახდები აღიარდება, როგორც ძირითადი საშუალება მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებელი.

## შპს “სტატუსი”

### ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში როდესაც ხდება იმ საქონლის ან მომსახურების მიღება, რომელიც დაკავშირებულია წინასწარი გადახდებთან. თუ არის რაიმე სახის ეჭვი, რომ საქონელი, მომსახურება ან ძირითადი საშუალება არ იქნება მიღებული, რომლისთვისაც გაწეულია წინასწარი ხარჯი, ამ შემთხვევაში ხდება წინასწარ გაწეული ხარჯის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

### დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებული მხარეებია:

შპს თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა ოფთალმიკი 211357663

შპს საქართველოს სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაციის ცენტრი ეკოლოგი 204554945

და კომპანიის მენეჯმენტი.

### ინვესტიციები

კომპანიას ინვესტიცია გააჩნია შვილობილ კომპანიაში. ინვესტიციების აღიარება ხდება თვითღირებულებით. შვილობილი კომპანიისგან მიღებულ დივიდენდის აღიარება ხდება მოგება-ზარალში.

## 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობა

კომპანია მუდმივად აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ცნობით აქტივებზე და ვალდებულებებზე სამომავლოდ. შეფასებები და დაშვებები მუდმივად ფასდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალ მოვლენებს, რომლებიც სარწმუნოა, რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

**საგადასახადო კანონმდებლობა.** საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის სხვადასხვა ინტერპრეტაცია.

**დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება.** ჩვეულებრივად, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. მსჯელობა გამოიყენება იმის განსაზღვრელად შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველს წარმოადგენს არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ტრანზაქციების ფასის დადგენა.

## შპს “სტატუსი”

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

### 5. ძირითადი საშუალებები

|                                       | მიწა, შენობები | ავტომობილები,<br>კომპიუტერები, აგაჯი<br>და სხვა | არამატერიალური<br>აქტივები | სულ         |
|---------------------------------------|----------------|-------------------------------------------------|----------------------------|-------------|
| <i>ისტორიული ღირებულება</i>           |                |                                                 |                            |             |
| დეკემბერი 31, 2022                    | 2,463,904      | 1,849,668                                       | 1,000                      | 4,314,572   |
| მატება                                | -              | 514,908                                         | -                          | 514,908     |
| კლება                                 | -              | -                                               | -                          | -           |
| დეკემბერი 31, 2023                    | 2,463,904      | 2,364,576                                       | 1,000                      | 4,829,480   |
| მატება                                | -              | 14,259                                          | -                          | 14,259      |
| კლება                                 | -              | (5,933)                                         | -                          | (5,933)     |
| დეკემბერი 31, 2024                    | 2,463,904      | 2,372,902                                       | 1,000                      | 4,837,806   |
| <i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i> |                |                                                 |                            |             |
| დეკემბერი 31, 2022                    | (276,328)      | (584,045)                                       | -                          | (860,373)   |
| მიმდინარე წლის ცვეთა                  | (110,835)      | (281,765)                                       | -                          | (392,600)   |
| ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე        | -              | -                                               | -                          | -           |
| დეკემბერი 31, 2023                    | (387,163)      | (865,810)                                       | -                          | (1,252,973) |
| მიმდინარე წლის ცვეთა                  | (104,997)      | (285,129)                                       | -                          | (390,126)   |
| ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე        | -              | 686                                             | -                          | 686         |
| დეკემბერი 31, 2024                    | (492,160)      | (1,150,253)                                     | -                          | (1,642,413) |
| <i>საბალანსო ღირებულება</i>           |                |                                                 |                            |             |
| დეკემბერი 31, 2022                    | 2,187,576      | 1,265,623                                       | 1,000                      | 3,454,199   |
| დეკემბერი 31, 2023                    | 2,076,741      | 1,498,766                                       | 1,000                      | 3,576,507   |
| დეკემბერი 31, 2024                    | 1,971,744      | 1,222,649                                       | 1,000                      | 3,195,393   |

### 6. მარაგები

კომპანიის მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

|                                | 31 დეკემბერი, 2024 | 31 დეკემბერი, 2023 |
|--------------------------------|--------------------|--------------------|
| ნედლეული და მასალები           | 77,456             | 47,360             |
| სხვა საწარმოო მარაგი           | 2,350              | 2,350              |
| ნელა მოძრავი მარაგების რეზერვი | (5,108)            | -                  |
| <b>სულ</b>                     | <b>74,698</b>      | <b>49,710</b>      |

### 7. მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

|                                          | 31 დეკემბერი, 2024 | 31 დეკემბერი, 2023 |
|------------------------------------------|--------------------|--------------------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 65,635             | 5,720              |
| გაცემული ავანსები                        | 19,626             | 17,834             |
| <b>სულ</b>                               | <b>85,261</b>      | <b>23,554</b>      |

## შპს “სტატუსი”

### ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სავაჭრო და სხვა დავალიანება ძირითადად მოიცავს კომპანიის მიერ გაწეული მომსახურებისათვის, კომპანიის პროვაიდერების მხრიდან დავალიანებას.

პირობები აღიარებულია, როდესაც საწარმოს გააჩნია მიმდინარე ვალდებულება (სამართლებრივი ან კონსტრუქციული), როგორც შედეგი წარსული მოვლენისა, შესაძლებელია, რომ საწარმოს მოეთხოვებოდეს ვალდებულების დაფარვა და ვალდებულების დასაფარად საჭირო საუკეთესო ხარჯთაღრიცხვის შედგენა.

პირობად აღიარებული თანხა წარმოადგენს საუკეთესო ხარჯთაღრიცხვას, რომელიც აუცილებელია საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული ვალდებულების დასაფარად, ვალდებულების ირგვლივ არსებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით.

როდესაც ეკონომიკური ბენეფიტის რაიმე ნაწილი მოითხოვს ისეთი პირობის დადგენას, რომელიც გულისხმობს მესამე მხარისაგან დაფარვას, დებიტორული დავალიანება მოისაზრება როგორც აქტივი, თუკი ის ფაქტობრივად დაადასტურებს, რომ ანაზღაურება იქნება მიღებული და მისაღები თანხის ოდენობა საიმედოდ იქნება შეფასებული.

#### 8. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

|                                 | 31 დეკემბერი, 2024 | 31 დეკემბერი, 2023 |
|---------------------------------|--------------------|--------------------|
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში     | 15,976             | 7,523              |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 28,207             | 4,500              |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში  | 97                 | 79                 |
| <b>სულ</b>                      | <b>44,280</b>      | <b>12,102</b>      |

#### 9. მოკლევადიანი სავაჭრო ვალდებულებები

კომპანიის მოკლევადიანი სავაჭრო ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

|                                                         | 31 დეკემბერი, 2024 | 31 დეკემბერი, 2023 |
|---------------------------------------------------------|--------------------|--------------------|
| მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | 90,480             | 126,800            |
| მიღებული ავანსები                                       | 919                | -                  |
| <b>სულ</b>                                              | <b>91,399</b>      | <b>126,800</b>     |

#### 10. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავალი რეალიზაციიდან 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

|                                        | 31 დეკემბერი, 2024 | 31 დეკემბერი, 2023 |
|----------------------------------------|--------------------|--------------------|
| ამბულატორიული და ქირურგიული მკურნალობა | 1,969,533          | 347,012            |
| <b>სულ</b>                             | <b>1,969,533</b>   | <b>347,012</b>     |

## შპს “სტატუსი”

### ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

#### 11. გაწეული მომსახურების ღირებულება

კომპანიის გაწეული მომსახურების ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

|                                             | 31 დეკემბერი, 2024 | 31 დეკემბერი, 2023 |
|---------------------------------------------|--------------------|--------------------|
| შრომის ანაზღაურება                          | 913,890            | -                  |
| მედიკამენტების და სამედიცინო საგნების ხარჯი | 280,567            | 57,330             |
| სასაქონლო მატარიალური მარაგების ხარჯვა      | 72,590             | 25,057             |
| ცვეთის ხარჯი                                | 285,129            | -                  |
| რეკლამის ხარჯი                              | 6,729              | 19,945             |
| <b>სულ</b>                                  | <b>1,558,905</b>   | <b>102,332</b>     |

#### 12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

|                                                 | 31 დეკემბერი, 2024 | 31 დეკემბერი, 2023 |
|-------------------------------------------------|--------------------|--------------------|
| შრომის ანაზღაურება                              | 200,714            | 438,107            |
| ცვეთის ხარჯი                                    | 104,997            | 392,600            |
| რემონტის ხარჯი                                  | 28,051             | 48,110             |
| სხვადასხვა ხარჯი                                | 15,460             | 27,668             |
| კომუნალური ხარჯი                                | 86,641             | 83,487             |
| საწარმოს საპენსიო ხარჯი                         | 10,231             | 5,804              |
| სამეურნეო და საყოფაცხოვრებო საქონლის ხარჯი      | 13,930             | 7,015              |
| საიჯარო ქირა                                    | 240                | -                  |
| ქონების გადასახადის ხარჯი                       | (16,897)           | 21,733             |
| კომპიუტერის და პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები | 22,618             | 22,205             |
| ბანკის მომსახურების საკომისიო                   | 17,509             | 3,390              |
| საკანცელარიო ხარჯი                              | 8,696              | 2,587              |
| ნელა მოძრავი მარაგების ხარჯი                    | -                  | 5,108              |
| საკონსულტაციო და იურიდიული მომსახურების ხარჯები | 23,245             | 4,836              |
| <b>სულ</b>                                      | <b>515,435</b>     | <b>1,062,650</b>   |

#### 13. მოგების გადასახადი:

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა იურიდიული პირების საგადასახადო მოდელში, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ამ ცვლილებას ქონდა პირდაპირი გავლენა გადავადებულ გადასახადზე.

#### ფინანსური რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქცია კომპანიაში ხორციელდება ფინანსური რისკების, საოპერაციო რისკების და სამართლებრივი რისკების გათვალისწინებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკი, საპროცენტო რისკის რისკი და სხვა რისკი), საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. ფინანსური რისკების მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია ფინანსური რისკების ზღვრების დადგენა და იმის უზრუნველყოფა რომ ის არ გასცდება ამ ზღვრებს. ოპერატიული და სამართლებრივი რისკების მართვის ფუნქციები მიზნად ისახავს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირებას ოპერატიული და სამართლებრივი რისკების მინიმიზაციის მიზნით.

## შპს “სტატუსი”

### ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

#### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ჯგუფი მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანიის პოლიტიკის მიხედვით, კომპანია ურთიერთობს კრედიტუნარიან კონტრაქტორებთან, რის შედეგადაც მცირდება კონტრაქტორის დეფოლტის რისკი, მასქიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები:

|                     | 31 დეკემბერი, 2024 | 31 დეკემბერი, 2023 |
|---------------------|--------------------|--------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები  | 85,261             | 23,554             |
| საბანკო ვალდებულება | -                  | -                  |
|                     | 85,261             | 23,554             |

#### სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის ისეთი რისკი, რომელიც ადგენს, რომ კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფითად იმოქმედებს კურსის ცვლილება, რომლის მიმართაც კომპანია დაუცველია. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ოპერაციებს. კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულს უცხოური ვალუტის რისკის ზემოქმედების მართვისთვის, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს ამგვარი რისკის შემსუბუქებას კომპანიის დონეზე უცხოური ვალუტის ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების მართვის გზით.

კომპანია ახორციელებს უცხოური ვალუტით დენომინირებულ გარიგებებს; შესაბამისად, წარმოიქმნება სავალუტო კურსის მერყეობის რისკი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობა საანგარიშო პერიოდის ბოლოს განხორციელებულ სავალუტო კურსის შესაძლო გონივრულ ცვლილებებზე, კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, ხოლო ყველა სხვა ცვლადი შენარჩუნებულია უცვლელად.

#### ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ორგანიზაცია ვერ შეძლებს შეასრულოს თავისი ვალდებულებები.

ორგანიზაციის პოლიტიკა გულისხმობს აწარმოოს ლიკვიდურობის გონივრული მართვის პოლიტიკა შესაბამისი პროცედურების ჩატარების საშუალებით: რომელიც მოიცავს შესაბამისი რაოდენობის ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთების ქონას, ასევე მაღალი ლიკვიდური აქტივების მიღებას, რომელსაც მოყვება ყველა საოპერაციო და გადასახდელ ვალდებულებასთან დაკავშირებული სერვისები.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს აქტივებს და ვალდებულებებს მათი დარჩენილი საკონტრაქტო ვადის მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

| 31 დეკემბერი, 2024                    | 1 დან 6<br>თვემდე | 7 დან 12<br>თვემდე | 1დან 5<br>წლამდე | მთლიანი |
|---------------------------------------|-------------------|--------------------|------------------|---------|
| აქტივი                                |                   |                    |                  |         |
| მარაგები                              | -                 | 74,698             | -                | 74,698  |
| მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები       | 85,261            | -                  | -                | 85,261  |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები | 44,280            | -                  | -                | 44,280  |
| მთლიანი აქტივები                      | 129,541           | 74,698             | -                | 204,239 |

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

|                                    |        |        |         |
|------------------------------------|--------|--------|---------|
| ვალდებულებები                      |        |        |         |
| მოკლევადიანი სავაჭრო ვალდებულებები | 91,399 | -      | -       |
| მთლიანი ვალდებულებები              | 91,399 | -      | -       |
| მთლიანი ლიკვიდურობა                | 38,142 | 74,698 | -       |
|                                    |        |        | 112,840 |

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს აქტივებს და ვალდებულებებს მათი დარჩენილი საკონტრაქტო ვადის მიხედვით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

| 31 დეკემბერი, 2023                    | 1 დან 6<br>თვემდე | 7 დან 12<br>თვემდე | 1დან 5<br>წლამდე | მთლიანი         |
|---------------------------------------|-------------------|--------------------|------------------|-----------------|
| <b>აქტივი</b>                         |                   |                    |                  |                 |
| მარაგები                              | -                 | 49,710             | -                | 49,710          |
| მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები       | 23,554            | -                  | -                | 23,554          |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები | 12,102            | -                  | -                | 12,102          |
| <b>მთლიანი აქტივები</b>               | <b>35,656</b>     | <b>49,710</b>      | <b>-</b>         | <b>85,366</b>   |
| <b>ვალდებულებები</b>                  |                   |                    |                  |                 |
| მოკლევადიანი სავაჭრო ვალდებულებები    | 126,800           | -                  | -                | 126,800         |
| <b>მთლიანი ვალდებულებები</b>          | <b>126,800</b>    | <b>-</b>           | <b>-</b>         | <b>126,800</b>  |
| <b>მთლიანი ლიკვიდურობა</b>            | <b>(91,144)</b>   | <b>49,710</b>      | <b>-</b>         | <b>(41,434)</b> |

#### 14. დაკავშირებული მხარეები

საანგარიშო წლის განმავლობაში კომპანიას გააჩნია შემდეგი ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და ანგარიშგების თარიღის მიხედვით არის შემდეგი ნაშთები:

|                                                     | ნაშთი 31<br>დეკემბერი, 2023 | სადებიტო<br>ბრუნვა | საკრედიტო<br>ბრუნვა | ნაშთი 31<br>დეკემბერი, 2024 |
|-----------------------------------------------------|-----------------------------|--------------------|---------------------|-----------------------------|
| დაკავშირებული მხარეებისთვის<br>გაწეული მომსახურება  | 1,215                       | 10,161             | 8,458               | 2,919                       |
| დაკავშირებული მხარეების მიერ<br>გაწეული მომსახურება | (700)                       | -                  | 2,400               | (3,100)                     |
|                                                     |                             |                    |                     |                             |
|                                                     | 31 დეკემბერი, 2024          |                    | 31 დეკემბერი, 2023  |                             |
| მენეჯმენტის ხელფასები და ბონუსები                   |                             | 296,151            | 175,263             |                             |
|                                                     |                             | 296,151            | 175,263             |                             |

15. მნიშვნელოვანი მოვლენები საანგარიშო თარიღის შემდგომ

არავითარი მნიშვნელოვანი გარიგება არ ყოფილა გამოვლენილი საანგარიშო თარიღის დადგომის შემდეგ, რომელიც გავლენას მოახდენდა ფინანსურ ანგარიშგებაზე.